

InControl-ის Touch Pro და Pivi Pro ფუნქციების გამოყენების პირობები
ბოლო განახლება: 2023 წლის 27 სექტემბერი

წინამდებარე პირობებში გამოყენებულ ტერმინებში „ჩვენი/ჩვენი“ ვგულისხმობთ Jaguar Land Rover Limited-ს (კომპანიის ნომერი 1672070), რომლის რეგისტრირებული ოფისის მისამართია: Abbey Road, Whitley, Coventry, CV3 4LF).

1. წინამდებარე პირობების შესახებ

წინამდებარე წესები და პირობები (შემდგომში „პირობები“) ვრცელდება იმ ავტომობილებზე, რომლებიც აღჭურვილია InControl-ის Touch Pro ან Pivi Pro ფუნქციებით და მოიცავს საინფორმაციო გასართობ სისტემას, დაკავშირებულ სერვისებსა და პროგრამული განახლების ფუნქციებს (მათ შორის ყველა პროგრამას, სურათს, ტექსტს, მონაცემს და სხვა კონტენტს, რომელიც წარმოადგენს აღნიშნული ფუნქციების ნაწილს ან დაკავშირებულია მათთან (შემდგომში „ფუნქციები“). გაითვალისწინეთ, რომ შეიძლება ზოგიერთი ფუნქცია შესაძლოა არ იყოს ხელმისაწვდომი თქვენს ავტომობილზე, ვინაიდან ეს დამოკიდებულია თქვენი ავტომობილის მოდელის ტექნიკურ პარამეტრებსა და ქვეყანაზე. დეტალური ინფორმაციის მისაღებად დაუკავშირდით თქვენს ავტორიზებულ მოვაჭრეს.

გარკვეული ფუნქციების გამოყენებისას, თქვენ შეიძლება მოგთხოვონ დაეთანხმოდეთ საბოლოო მომხმარებლის დამატებით პირობებსა და კონფიდენციალურობის პოლიტიკას, მაგალითად იმ ფუნქციებით სარგებლობისას, რომლებიც მოგეწოდებათ ჩვენი არჩეული მესამე მხარის პროვაიდერების მეშვეობით ან რომლებიც გაძლევთ წვდომას აპლიკაციებზე ან ონლაინ კონტენტზე (მაგ., InControl-ის Touch Pro “Live” სერვისი).

InControl-ის Touch Pro-ს შემთხვევაში, მესამე მხარის პროვაიდერის პირობები ვრცელდება ნავიგაციასა და Gracenote-ის მედიაზე. ზემოხსენებულ პირობებს შეგიძლიათ გაეცნოთ შემდეგ ბმულზე:

- <https://legal.here.com/terms>
- <https://legal.here.com/privacy>
- Gracenote-ის მედიის გამოყენების პირობების გასაცნობად, იხილეთ ავტომობილის მფლობელის სახელმძღვანელო.

Pivi Pro-ს შემთხვევაში, მესამე მხარის პროვაიდერის პირობები ვრცელდება ნავიგაციასა და მობილური ქსელის დაკავშირებაზე (მართლზომიერი გამოყენების პოლიტიკის ჩათვლით). ზემოხსენებულ პირობებს შეგიძლიათ გაეცნოთ შემდეგ ბმულზე:

- <https://legal.here.com/terms>
- <https://legal.here.com/privacy>
- <https://move.tatacommunications.com/terms-and-conditions>

- <https://move.tatacommunications.com/policies/privacy>

ფუნქციების გამოყენებით, თქვენ ეთანხმებით როგორც წინამდებარე, ისე ფუნქციების პროვაიდერების პირობებს და გააზრებული გაქვთ ფუნქციების პროვაიდერების კონფიდენციალურობის პოლიტიკა. ყურადღებით წაიკითხეთ ისინი. **განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეთ ქვემოთ მოცემულ შემდეგ დებულებებს: დებულება 2 (SIM ბარათი და ინტერნეტ-პაკეტის ღირებულება), დებულება 7 (ინტერნეტის გამოყენება და კონფიდენციალურობის დაცვა) და დებულება 8 (პასუხისმგებლობის შეზღუდვა).**

ზოგიერთ ბაზარზე, ადგილობრივ დონეზე მოქმედი სამართლებრივი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, მობილური ქსელის პროვაიდერმა შეიძლება მოგთხოვოთ ვინაობის ვერიფიკაციის ელექტრონული პროცესის გავლა საწყისი პაკეტით მოწოდებული SIM ბარათის გასააქტიურებლად.

მნიშვნელოვანი:

- თქვენ ვალდებული ხართ უზრუნველყოთ, რომ ნებისმიერმა იმ პირმა, რომელსაც აძლევთ ავტომობილის გამოყენების ნებართვას, წაიკითხოს წინამდებარე პირობები და გაეცნოს ფუნქციების გამოყენების წესებს აღნიშნული პირობების შესაბამისად.
- წინამდებარე პირობები ასევე ვრცელდება თქვენზე იმ შემთხვევაში, თუ სარგებლობთ „ავტოპარკის“ ავტომობილით, რომელზეც დაყენებულია ფუნქციები, მაშინაც კი, თუ თქვენ პირადად არ შეგიძენიათ ან დაგიქირავეთ ავტომობილი ან გამოგიწერიათ ფუნქციები. ავტოპარკი ნიშნავს ავტომობილების ჯგუფს, რომელსაც მართავს, ფლობს ან ქირაობს კომპანია ან სხვა ორგანიზაცია და არა კონკრეტული პირი თუ ოჯახი. მაგალითად, ეს შეიძლება მოიცავდეს გაქირავების კომპანიის მიერ თქვენთვის მოქირაებულ ავტომობილს, დამსაქმებლის მიერ მოწოდებულ ავტომობილს ან მოკლევადიანი სესხის საფუძველზე ჩვენი ან ჩვენი ავტორიზებული მოვაჭრის მიერ მოწოდებულ ავტომობილს.
- წინამდებარე პირობები ვრცელდება ფუნქციებზე ნებისმიერი გზით წვდომასა და მათ გამოყენებაზე, იქნება ეს საწყისი პაკეტით მოწოდებული SIM ბარათით, ავტომობილში მოთავსებული SIM ბარათით თუ Wi-Fi-ს საშუალებით დაკავშირებით.

წინამდებარე პირობების შესახებ შეკითხვების არსებობის შემთხვევაში, დაუკავშირდით თქვენს ავტორიზებულ მოვაჭრეს.

2. SIM ბარათები და ინტერნეტ-პაკეტების ღირებულება

2.1 თქვენ დაგჭირდებათ აბონენტის საიდენტიფიკაციო მოდულის SIM ბარათი (SIM) და ინტერნეტ-პაკეტი გარკვეული ფუნქციებითა და სერვისებით სარგებლობისათვის (მაგალითად, Wi-Fi ჰოტსპოტი, InControl-ის Touch Pro ინტერნეტ ბრაუზერი და „Live“ სერვისი, სადაც ეს ხელმისაწვდომია). ავტომობილში მოთავსებული SIM ბარათი გამართულად უნდა მუშაობდეს და

შესაბამისმა ფუნქციებმა ან სერვისებმა შეიძლება არ იმუშაოს, თუ SIM ბარათი დაზიანებულია, ამოღებულია ან არასწორადაა ჩასმული.

- 2.2 SIM ბარათი შესაძლოა მოგაწოდონ ავტომობილთან ერთად (ავტომობილში ჩაშენებული ან SIM ბარათის ბუდეში ჩასასმელი) ან თავად შეიძინოთ ცალკე - ეს დამოკიდებულია თქვენი ავტომობილის მოდელის ტექნიკურ პარამეტრებსა და ქვეყანაზე.
- 2.3 თუ SIM ბარათის ადგილას ჩასასმელი SIM ბარათი ავტომობილს მოყვა და თქვენ გსურთ მისი ჩანაცვლება სხვა SIM ბარათით, თქვენ ვალდებული იქნებით თავად გადაიხადოთ ამ უკანასკნელით სარგებლობისთვის საჭირო ინტერნეტ-პაკეტის ღირებულება.
- 2.4 თქვენ მოგიწევთ თქვენს SIM ბარათსა და ფუნქციების გამოყენებასთან დაკავშირებული ქსელის ყველა პროვაიდერისა და ინტერნეტ-პაკეტის ღირებულების გადახდა (საწყისი უფასო საცდელი პერიოდის ან ინკლუზიური ინტერნეტ-პაკეტის ვადის გასვლის შემდეგ, სადაც ეს შესაძლებელია). ეს შეიძლება მოიცავდეს ქსელის პროვაიდერის მიერ საერთაშორისო როუმინგზე დაწესებულ გადასახადს. ავტომობილზე დაყენებული დაკავშირების პარამეტრები საშუალებას გაძლევთ ჩართოთ ან გამორთოთ მობილური ინტერნეტის კავშირი თქვენი ინტერნეტ-პაკეტისთვის - თუ გსურთ აირიდოთ საერთაშორისო როუმინგზე დაწესებული გადასახადის გადახდა, შეამოწმეთ აღნიშნული პარამეტრები. ეს არ მოახდენს უარყოფით გავლენას პროგრამულ განახლებებზე.
- 2.5 თუ საკუთარ SIM ბარათს იყენებთ, თქვენ უნდა ამოიღოთ ის იმ შემთხვევაში, თუ აღარ ფლობთ ან აღარ სარგებლობთ ავტომობილით. თუ ამას არ გააკეთებთ, თქვენ კვლავ მოგიწევთ ამ ფუნქციების თქვენს ავტომობილზე გამოსაყენებლად საჭირო ინტერნეტ-პაკეტების ღირებულების გადახდა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- 2.6 მონაცემთა გადაცემა საწყისი პაკეტით მოწოდებული SIM ბარათით ხორციელდება მობილური ტელეკომუნიკაციების ქსელებში, რომელსაც უზრუნველყოფს და მართავს ჩვენი მობილური ქსელის ოპერატორის სერვისების („MNO სერვისის პროვაიდერი“) ჩვენ მიერ შერჩეული პროვაიდერი პირადად ან ადგილობრივი ლიცენზიის მქონე პროვაიდერის მეშვეობით, რომელთანაც MNO სერვისის პროვაიდერს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება. MNO სერვისის პროვაიდერი წარმოადგენს აღნიშნული ფუნქციებით სარგებლობისთვის საჭირო სატელეკომუნიკაციო სერვისების პროვაიდერს. მობილური ტელეკომუნიკაციების ქსელების გამოყენებისთვის, თქვენ მოგთხოვენ მათ წესებსა და პირობებზე დათანხმებას. Pivi Pro-ს შემთხვევაში, აქ მოიაზრება 1-ელ დებუტებაში გაწერილი ქსელის პროვაიდერის წესები და პირობები. InControl-ის Touch Pro-ს შემთხვევაში, აქ მოიაზრება ქსელის პროვაიდერის წესები და პირობები, რომლებზე თანხმობასაც აცხადებთ რეგისტრაციისას და ავტომობილის SIM ბარათის ბუდეში ჩასმული SIM ბარათის გააქტიურებისას.

3. მომხმარებლის ანგარიშები და გამოწერები

- 3.1 გარკვეული ფუნქციებისა და სერვისებით სარგებლობისათვის თავდაპირველად დაგჭირდებათ (ა) ანგარიშის შექმნა (მაგალითად, InControl-ის ანგარიში ან Touch Pro-ს ნავიგაციის ანგარიში) და (ბ) მიმდინარე გამოწერა (გამოწერა გაძლევთ დაკავშირებულ ფუნქციაზე წვდომისა და მისი გამოყენების უფლებას გარკვეული დროის განმავლობაში).
- 3.2 ავტომობილის ან ოპციების პაკეტის შექმნაში შედის თავდაპირველი გამოწერის პერიოდი, რაც დამოკიდებულია თქვენი ავტომობილის მოდელის ფუნქციებსა და ტექნიკურ პარამეტრებზე და ქვეყანაზე. საწყისი გამოწერის პერიოდის გასვლის შემდეგ შესაბამისი ფუნქციით სარგებლობის გასაგრძელებლად დაგჭირდებათ გამოწერის განახლება და განახლებაზე დაწესებული საფასურის გადახდა. დამატებითი ინფორმაციის მიღებას საწყისი გამოწერისა და იმის შესახებ, თუ როგორ განახლოთ ის, შეძლებთ თქვენი ავტორიზებული მოვაჭრისგან.
- 3.3 თქვენ ვალდებული ხართ გააუქმოთ თქვენი ანგარიში, თუ აღარ სარგებლობთ ავტომობილით ან აღარ გყავთ ის (მაგალითად იმ შემთხვევაში, თუ გაყიდით ავტომობილს, ამოიწურება მისი ქირავნობის ვადა, ავტომობილს დაკარგავთ ან მოგპარავენ). თქვენ უნდა წაშალოთ თქვენი პროფილი და ანგარიში ავტომობილიდან, წაშალოთ თქვენი ანგარიში და გამორთოთ მობილური ინტერნეტი ავტომობილის დაკავშირების პარამეტრებიდან.
- 3.4 თქვენ ვალდებული ხართ უზრუნველყოთ თქვენი ანგარიშის ინფორმაციის სიზუსტე, სიახლე და სისტემაში შესასვლელი დეტალების უსაფრთხოების და კონფიდენციალურობის დაცვა. ჩვენ არ ვიღებთ პასუხისმგებლობას თქვენს ანგარიშსა თუ ფუნქციებზე არავტორიზებული წვდომისა და გამოყენების შემთხვევაში, თუ ეს ჩვენი ბრალეულობით არაა გამოწვეული.
- 3.5 გამოწერის პერიოდის გასვლის შემდეგ, ჩვენ უფლება გვაქვს წავშალოთ თქვენს შესახებ არსებული ყველა ჩანაწერი და მონაცემი, რომელსაც ვფლობთ ან ვაკონტროლებთ და ეს თქვენ არ დაგაკისრებთ რაიმე სახის ვალდებულებას.

4. პროგრამული განახლებები

- 4.1 წინამდებარე პირობებში გამოყენებული ტერმინი „**პროგრამული განახლებები**“ გულისხმობს InControl-ის Touch Pro, Pivi Pro ან ავტომობილის იმ სხვა სისტემების პროგრამულ განახლებებს უსადენო კავშირის საშუალებით, რომელთა ჩამოტვირთვაც შეგიძლიათ პირდაპირ ავტომობილში იმისათვის, რომ შეინარჩუნოთ ან შეცვალოთ აღნიშნული სისტემები ან ისარგებლოთ გაუმჯობესებული ფუნქციებითა და შესაძლებლობებით თქვენს ავტომობილზე.
- 4.2 როდესაც ავტომობილი დაკავშირებულია, თქვენი ავტომობილის სისტემების პროგრამული განახლებები ხელმისაწვდომი იქნება პერიოდულად. ხელმისაწვდომი პროგრამული განახლებები შეგიძლიათ შეამოწმოთ ავტომობილის პარამეტრებში ან შესაძლოა მოხდეს მათი ჩვენ მიერ შემოთავაზება.

- 4.3 პროგრამული განახლების ტიპის, თქვენი ავტომობილის ტექნიკური პარამეტრების და ადგილობრივ ბაზარზე დაწესებული მოთხოვნების მიხედვით, პროგრამული განახლებების ჩამოტვირთვა და დაყენება შესაძლოა ავტომატურად მოხდეს ან შეიძლება გქონდეთ განახლების დროის შეცვლის ან მასზე უარის თქმის საშუალება.
- 4.4 გაითვალისწინეთ პროგრამული განახლებების შემდეგი მნიშვნელოვანი პირობები:
- (a) ავტომობილის ტექნიკური პარამეტრების მიხედვით, პროგრამული განახლებები შეიძლება ჩამოიტვირთოს ავტომობილში ჩაშენებული SIM ბარათის, SIM ბარათის ბუდეში ჩასმული SIM ბარათის ან Wi-Fi კავშირის მეშვეობით. გაითვალისწინეთ, რომ პროგრამული განახლებების ისეთი SIM ბარათით განხორციელებამ, რომელიც არ არის მოწოდებული ავტომობილის საწყის პაკეტში, შესაძლოა დაგაკისროთ SIM ბარათის ინტერნეტ-პაკეტის გამოყენებასთან დაკავშირებული ხარჯები;
 - (b) პროგრამული განახლებების ზოგიერთი ტიპის დაყენებისას, ავტომობილის გარკვეული ფუნქციები და სერვისები (მაგალითად, „SOS Emergency Call“ (SOS გადაუდებელი ზარი), „Optimised Roadside Assistance“ (ოპტიმიზირებული საგზაო დახმარება), სიგნალი და „InControl Remote App“-ის (InControl-ის დისტანციური აპლიკაციის) რამდენიმე ფუნქცია) შესაძლოა დროებით გაითიშოს. თქვენ უნდა აირჩიოთ აღნიშნული პროგრამული განახლებების დაყენება მხოლოდ მაშინ, როდესაც არ არსებობს ავტომობილით გადაადგილების აუცილებლობა და ის დაყენებულია უსაფრთხო და დაცულ ადგილას;
 - (c) პროგრამული განახლებები შესაძლოა სათანადოდ ვერ დაინსტალირდეს იმ შემთხვევაში, თუ თქვენს ავტომობილს არასტანდარტული პროგრამული ან აპარატურული უზრუნველყოფა აქვს;
 - (d) პროგრამული განახლებები გადაეწერება ავტომობილზე არსებულ პროგრამებს. ეს ასევე შესაძლოა ვრცელდებოდეს ავტომობილზე დაყენებულ ნებისმიერი მესამე მხარის არასტანდარტულ პროგრამებზე;
 - (e) ნებისმიერი შეკითხვის ან პრობლემის არსებობის შემთხვევაში, დაუკავშირდით თქვენს ავტორიზებულ მოვაჭრეს.
- 4.5 თუ ავტოპარკის ავტომობილს იყენებთ, გაითვალისწინეთ, რომ ავტოპარკის მფლობელს შესაძლოა დაწესებული ჰქონდეს წესები და პირობები, პოლიტიკა ან პროცედურები, რომლებმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს თქვენ მიერ პროგრამული განახლებებით სარგებლობაზე. თქვენი ვალდებულებაა ავტოპარკის მფლობელთან ერთად გაიაროთ პროგრამული განახლებებით სარგებლობასთან დაკავშირებული საკითხები.
- 4.6 იმისათვის, რომ მოგაწოდოთ პროგრამული განახლება, ჩვენ შეიძლება შევავროვოთ და დავამუშაოთ თქვენი ავტომობილიდან მიღებული მონაცემები, როგორცაა ავტომობილის საიდენტიფიკაციო ნომერი და ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაცია. ზოგადად, აღნიშნული მონაცემები გამოყენებული იქნება იმის დასადგენად, ხელმისაწვდომია თუ არა პროგრამული განახლება თქვენს ბაზარზე

და/ან აკმაყოფილებთ თუ არა აღნიშნული განახლებით სარგებლობის კრიტერიუმებს, ან სხვაგვარად იქნება გაწერილი რელიზის სახით.

5. მესამე მხარის კონტენტი და სერვისები

- 5.1 Pivi Pro და InControl-ის Touch Pro გაძლევთ წვდომას მესამე მხარის გარკვეულ კონტენტზე და სერვისებზე თქვენს ავტომობილზე დაყენებული ფუნქციების საშუალებით (მაგალითად, „Live“ InControl-ის Touch Pro სერვისზე). ჩვენ შევარჩიეთ და ჩვენი მომხმარებლებისთვის ხელმისაწვდომი გავხადეთ აღნიშნული მესამე მხარის კონტენტი და სერვისები.
- 5.2 მესამე მხარის კონტენტისა და სერვისების მიწოდებას ახორციელებენ ჩვენ მიერ არჩეული მესამე მხარის პროვაიდერები. მესამე მხარის კონტენტი და სერვისები შეიძლება დაექვემდებაროს შესაბამისი მესამე მხარის პროვაიდერის წესებსა და პირობებს და კონფიდენციალურობის პოლიტიკას (რომელიც მოქმედებს წინამდებარე პირობებისგან დამოუკიდებლად). გათვალისწინებულ შემთხვევებში, თქვენ მოგიწევთ გაეცნოთ და დაეთანხმოთ მათ იმისათვის, რომ გქონდეთ წვდომა და გამოიყენოთ აღნიშნული მესამე მხარის კონტენტი და სერვისები. მაგალითად, სოციალური მედიის ფუნქციების გამოსაყენებლად დაგჭირდებათ შესაბამისი სოციალური მედიის ანგარიში და მათ პირობებსა და კონფიდენციალურობის პოლიტიკაზე დათანხმება.
- 5.3 ჩვენ არ ვიღებთ პასუხისმგებლობას რაიმე შეთანხმებაზე ან ხელშეკრულებაზე, რომელიც გაფორმებულია თქვენსა და მესამე მხარის კონტენტისა და სერვისების პროვაიდერებს შორის და მსგავს შეთანხმებასთან დაკავშირებულ რისკებზე და ხარჯებზე თავად ხართ პასუხისმგებელი. მაგალითად, თქვენ ვალდებული ხართ გადაიხადოთ მესამე მხარის იმ აპლიკაციებით სარგებლობაზე დაწესებული ნებისმიერი გადასახადი, რომელთა ჩამოტვირთვას ან გამოწერასაც ირჩევთ.
- 5.4 მესამე მხარის იმ კონტენტისა და სერვისების არჩევანი, რომელიც ხელმისაწვდომია თქვენს ავტომობილზე, შესაძლოა პერიოდულად დაექვემდებაროს ცვლილებას. ჩვენ ვიტოვებთ უფლებას შევცვალოთ, შევაჩეროთ, მოვხსნათ ან გავთიშოთ წვდომა მესამე მხარის ნებისმიერ კონტენტსა და სერვისზე ნებისმიერ დროს, შეტყობინების გარეშე.
- 5.5 პერიოდულად ჩვენ შეიძლება ხელმისაწვდომი გავხადოთ განახლებები მესამე მხარის კონტენტისა და სერვისებისთვის და აღნიშნული განახლებების დასაყენებლად შეიძლება მოგიწიოთ მესამე მხარის ახალ ან განახლებულ წესებზე, პირობებსა და კონფიდენციალურობის პოლიტიკაზე დათანხმება.

6. ფუნქციების გამოყენება

- 6.1 ჩვენ ფუნქციებს ხელმისაწვდომს ვხდით ავტომობილის მხოლოდ კერძო შიდა გამოყენებისთვის ან თქვენი კომპანიის მიერ შიდა გამოყენებისთვის. ფუნქციების

გამოყენება დაშვებულია მხოლოდ დადგენილი მიზნით და არა ხელახლა გაყიდვისთვის. თქვენ არ უნდა დართოთ სხვა პირს ფუნქციების იმგვარად გამოყენების უფლება, რაც:

- (a) არის არაკანონიერი, აკრძალული ან შეზღუდული ნებისმიერ იმ ქვეყანაში, სადაც გეგმავთ ფუნქციების გამოყენებას ან უკვე იყენებთ მათ (მაგალითად, როდესაც უსაფრთხოების კამერის ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაციის გამოყენება არ არის ნებადართული);
- (b) არის საშიში ან აყენებს თქვენს, თქვენი მგზავრებისა და ნებისმიერი სხვა პირის უსაფრთხოებას რისკის ქვეშ;
- (c) აზიანებს ავტომობილს, ნებისმიერ მონაცემს, პროგრამას, მოწყობილობას, კომპიუტერულ სისტემას ან ქსელს;
- (d) არ არის ნებადართული ჩვენ მიერ ან რომელიც არღვევს ინტელექტუალური საკუთრების რომელიმე უფლებას (მათ შორის მესამე მხარის პროვაიდერების უფლებას).

6.2 გარდა 6.1 დებულებაში გათვალისწინებული პირობებისა, თქვენ გეკრძალებათ InControl-ის Touch Pro ინტერნეტ ბრაუზერის გამოყენება:

- (a) ისეთი ფორმით, რომელიც იწვევს ჩვენს ან ქსელის პროვაიდერის სისტემების ან უსაფრთხოების საშუალებების დაზიანებას, გამორთვას, გადატვირთვას, შეცვლას, უსაფრთხოების პარამეტრების შეცვლას ან ხელს უშლის ქსელის სხვა მომხმარებლებს; ან
- (b) გამიზნულია ფაილების Peer to Peer („P2P“) მეთოდით გაზიარებისთვის, ბიტ ტორენტთან ან პროქსი სერვერის ქსელთან დაკავშირებისთვის, სპამ შეტყობინებების, არასასურველი ელ. წერილების ან კომერციული შეტყობინებების მასიურად გაგზავნისთვის ან ელექტრონული ფოსტის სერვერის ან რაიმე სხვა სახის პროგრამის ინსტალაციისთვის, რომელიც იძლევა საჯარო IP-ზე ან ინტერნეტ მისამართზე წვდომას.

6.3 თქვენ ვალდებული ხართ დაემორჩილოთ საგზაო მოძრაობის ყველა მოქმედ კანონს და იმოქმედოთ ავტომობილის მართვის სათანადო პრაქტიკის შესაბამისად თქვენ მიერ ფუნქციების გამოყენებასთან დაკავშირებით.

6.4 ჩვენ ვცდილობთ უზრუნველყოთ, ფუნქციების ხელმისაწვდომობა და გამართულობა, თუმცა ჩვენ ვერ ვიძლევით გარანტიას, რომ ფუნქციები (ან მათი რომელიმე ნაწილი) იმუშავებს უშეცდომოდ ან იქნება მუდმივად ხელმისაწვდომი, ან რომ მათი გამოყენება შესაძლებელი იქნება ყველა ქვეყანაში ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად. მაგალითად, InControl-ის Touch Pro-ს ინტერნეტ ბრაუზერის გამოყენებისას, ზოგიერთი ვებ-საიტი შესაძლოა არ აჩვენებდეს კონტენტს ან ფუნქციონირებდეს გამართულად ავტომობილის ეკრანზე.

- 6.5 ფუნქციების ზოგიერთი ასპექტის ხელმისაწვდომობა და ფუნქციონირება დამოკიდებულია მობილური ქსელის დაფარვის არეალზე და სხვა ფაქტორებზე, რომლებიც ჩვენს კონტროლს არ ექვემდებარება. მაგალითად, ქსელთან დაკავშირება შესაძლოა შეუძლებელი იყოს შორ ან შემოსაზღვრულ ტერიტორიებზე და მასზე გავლენა შეიძლება მოახდინოს ისეთმა დაბრკოლებებმა, როგორცაა გორაკები, მაღალი შენობები და გვირაბები ან ქსელის მოქმედების არეალი. გარდა ამისა, ფუნქციები შესაძლოა დაექვემდებაროს პერიოდულ შეფერხებებს ან გარკვეული დროის განმავლობაში შესაძლოა შეიზღუდოს მათი მუშაობა, ტექნიკური შემოწმების ან ცვლილებების განხორციელების მიზეზით, მაგრამ ჩვენ ყოველთვის ვეცდებით ამგვარი მიზეზების მინიმუმამდე შემცირებას.
- 6.6 ჩვენ არ ვიძლევიტ გარანტიას, რომ ნავიგაციის მონაცემები ან კონტენტი (მაგ., რუკები, უსაფრთხოების კამერები, სიჩქარის ლიმიტები ან საგზაო მოძრაობის მონაცემები) არის ზუსტი, სრული და მიმდინარე დროის შესაბამისი. აღნიშნული მონაცემები მოგეწოდებათ მხოლოდ მოხერხებულობისთვის, თუმცა თქვენ რჩებით პასუხისმგებელი საგზაო მოძრაობის შესახებ კანონების, მათ შორის საგზაო ნიშნებისა და სიჩქარის ლიმიტების, დაცვაზე.
- 6.7 ჩვენ ვიტოვებთ უფლებას შევცვალოთ, შევაჩეროთ, მოვხსნათ ან გავთიშოთ წვდომა მესამე მხარის ნებისმიერ ფუნქციასა და სერვისზე ნებისმიერ დროს, წინასწარი შეტყობინების გარეშე. მაგალითად, ეს შესაძლოა საჭირო გახდეს ამ ფუნქციების სისტემების ტექნიკური შემოწმების ჩასატარებლად, უსაფრთხოების მიზნით, თუ ეს კანონით სავალდებულოა ან თუ ვწყვეტთ გარკვეული ფუნქციებსა თუ სერვისების მიწოდებას თქვენს ქვეყანაში, ან ზოგადად.
- 6.8 თქვენი პასუხისმგებლობაა წაშალოთ ყველა პერსონალური მონაცემი, კონტენტი და სხვა მონაცემები, რომლებიც შესაძლოა შენახული გქონდეთ თქვენს ავტომობილზე, ფუნქციებითა და ავტომობილის აღჭურვილობით დაშვებულ ფარგლებში, სანამ ავტომობილზე საკუთრების უფლებას სხვას გადასცემთ ან დააბრუნებთ ქირით ან იჯარით აღებულ ავტომობილს მის მფლობელს. მაგალითად, თქვენ შეგიძლიათ წაშალოთ „ფავორიტები“, ბრაუზერის ისტორია ან ნებისმიერი cookie ფაილი, რომელიც შენახულია InControl-ის Touch Pro ინტერნეტ ბრაუზერში ვებ-ბრაუზერის პარამეტრების გამოყენებით.
- 6.9 თქვენ პასუხისმგებელი ხართ ფუნქციის „დამიმახსოვრეთ“ გამოყენებაზე, რომელიც მოქმედებს გარკვეულ ფუნქციებთან მიმართებაში. ამ ფუნქციის მეშვეობით ხდება თქვენი ავტომობილის სისტემაში შესვლის ავტომატურად დამახსოვრება და საშუალება გეძლევათ, უფრო მარტივად მოიპოვოთ წვდომა ფუნქციებზე. გაითვალისწინეთ, რომ როდესაც ეს ფუნქცია გააქტიურებულია, ნებისმიერ სხვა პირს, რომელიც მართავს ან იყენებს ავტომობილს, შეეძლება თქვენს ავტომობილში შენახული პარამეტრების, ფუნქციების და პერსონალური ინფორმაციის ნახვა და ფუნქციების თქვენი სახელით გამოყენება. თუ არ გსურთ, რომ სხვა მომხმარებლებს ჰქონდეთ წვდომა აღნიშნულზე, აუცილებლად უნდა გამორთოთ ფუნქცია „დამიმახსოვრეთ“. თუ აღარ ფლობთ ან იყენებთ თქვენს ავტომობილს (მაგალითად, თუ გაყიდით მას, ქირავნობის ვადა ამოიწურება, ან ის დაიკარგება ან მოგპარავენ),

აუცილებლად უნდა გამორთოთ ფუნქცია „დამიმასხოვრეთ“ გარკვეული ფუნქციებისთვის და/ან გამოხვიდეთ ფუნქციების სისტემიდან.

- 6.10 ჩვენ არ ვიღებთ პასუხისმგებლობას მესამე მხარის რომელიმე ვებ-საიტზე, კონტენტზე ან მონაცემებზე, რომელსაც ათვალთ ინტერნეტში InControl-ის Touch Pro-ს ინტერნეტ ბრაუზერის გამოყენებით. ამ ქმედებასთან დაკავშირებულ რისკებზე პასუხისმგებლობა გეკისრებათ მხოლოდ თქვენ. აღნიშნულ ვებ-საიტებზე შესაძლოა გამოყენებული cookie ფაილები ან მსგავსი მოწყობილობები. გირჩევთ გაეცნოთ მესამე მხარის იმ ვებ-საიტების ნებისმიერ წესებს, პირობებს, კონფიდენციალურობისა და cookie ფაილების პოლიტიკას, რომლებსაც სტუმრობთ.
- 6.11 გარკვეული ფუნქციების გამოყენება (მაგალითად, InControl-ის Touch Pro-ს ინტერნეტ ბრაუზერი) შეიძლება შეიზღუდოს ავტომობილის მოძრაობისას.
- 6.12 InControl Touch Pro-ს შემთხვევაში, Wi-Fi ჰოტსპოტთან დაკავშირება არ იქნება ხელმისაწვდომი, სანამ იყენებთ „SOS Emergency Call“-ის და „Optimised Roadside Assistance“-ის სერვისს. Wi-Fi Hotspot-თან დაკავშირება არ იქნება ხელმისაწვდომი „SOS Emergency Call“-ის და „Optimised Assistance“-ის ზარის დასრულებიდან ოცდაათი წუთის განმავლობაში.

7. ინტერნეტის გამოყენება და კონფიდენციალურობის დაცვა

- 7.1 ჩვენ მიერ თქვენი პერსონალური მონაცემების გამოყენება მოხდება InControl-ის კონფიდენციალურობის პოლიტიკის პირობების შესაბამისად, რომელიც შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ვებ-საიტზე:
- <https://incontrol.jaguar.com/jaguar-portal-owner-web/about/privacy-policy/GEO>
 - <https://incontrol.landrover.com/jlr-portal-owner-web/about/privacy-policy/GEO>

8. პასუხისმგებლობის შეზღუდვა

- 8.1 თუ ხართ მომხმარებელი, თქვენ გაქვთ კანონიერი უფლებები იმ სერვისებთან მიმართებაში, რომლების მოწოდებაც არ განხორციელდა შესაბამისი ძალებითა და ყურადღებით ან პროგრამული უზრუნველყოფა იყო გაუმართავი ან არ შეესაბამებოდა მოცემულ აღწერას. თქვენი კანონიერი უფლებების შესახებ კონსულტაციის მიღება შეგიძლიათ თქვენს ადგილობრივი მოქალაქეების საკონსულტაციო ბიუროსა ან სავაჭრო სტანდარტების ოფისში. წინამდებარე პირობებში მოცემული არც ერთი დეტალი არ ახდენს გავლენას აღნიშნულ კანონიერ უფლებებზე.
- 8.2 წინამდებარე პირობებში მოცემული არანაირი ინფორმაცია არ ზღუდავს ან გამორიცხავს ჩვენს პასუხისმგებლობას შემდეგ საკითხთან დაკავშირებით: ჩვენი დაუდევრობის შედეგად გამოწვეული გარდაცვალების ფაქტი ან სხეულის

დაშავება, თაღლითობა ან თაღლითური მიზნით შეცდომაში შეყვანა ნებისმიერი სხვა პასუხისმგებლობა, რომელიც არ შეიძლება გამოირიცხოს ან შეიზღუდოს ინგლისის კანონმდებლობით.

8.3 გარდა 8.2 დებულებით ან მწარმოებლის მიერ ავტომობილზე გაცემული მოქმედი გარანტიის პირობებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ჩვენი მაქსიმალური ერთობლივი პასუხისმგებლობა თქვენს მიმართ წინამდებარე პირობებსა და ფუნქციებთან დაკავშირებით (კონტრაქტით, დელიქტით (მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ დაუდევრობით), სამართლებრივი ვალდებულების დარღვევით ან სხვაგვარად) დამდგარ ნებისმიერ შემთხვევაში შემოიფარგლება იმ თანხით, რომელიც უდრის თქვენ მიერ ჩვენთვის ფუნქციების გამოყენებისთვის გადახდილ საფასურს.

8.4 გარდა 8.2 დებულებით ან მწარმოებლის მიერ ავტომობილზე გაცემული მოქმედი გარანტიის პირობებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ გვეკისრება რაიმე სახის პასუხისმგებლობა შემდეგზე:

(a) არაპროგნოზირებად ზარალსა თუ ზიანზე. ზარალი ან ზიანი ითვლება პროგნოზირებადად, თუ ეს იყო ჩვენ მიერ პირობების აშკარა დარღვევის შედეგი ან თუ თქვენ და ჩვენ ეს განვიხილეთ თქვენ მიერ ავტომობილის ან ოპციების პაკეტის შექმნისას, სადაც შედის ფუნქციებიც;

(b) რაიმე სახის ფინანსურ ზარალზე, რომელიც წარმოიშობა წინამდებარე პირობების ფარგლებში და ფუნქციებთან დაკავშირებით (რაც სულ მცირე მოიცავს მოგების ან შემოსავლის დაკარგვას, ბიზნესის დაკარგვას, კომპანიის დახურვას ან ბიზნეს წარმოების შესაძლებლობის დაკარგვას); ან

(c) ნებისმიერ არაპირდაპირ ან თანმდევ ზარალზე.

8.5 წინამდებარე პირობები ადგენს ჩვენი ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობის სრულ მოცულობას ფუნქციების მოწოდებასთან დაკავშირებით. არ არსებობს ჩვენთვის სავალდებულო არანაირი პირდაპირი ან ნაგულისხმევი პირობები, გარანტიები, განცხადებები ან სხვა პირობები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს არის პირდაპირ მითითებული წინამდებარე პირობებში. ფუნქციების მიწოდებასთან დაკავშირებული ნებისმიერი პირობა, გარანტია, განცხადება ან სხვა წესი, რომელიც შეიძლება სხვაგვარად იყოს ნაგულისხმევი ან შეტანილი წინამდებარე პირობებში, იქნება ეს კანონით, საერთო სამართლით თუ სხვაგვარად, გამოირიცხება კანონით ნებადართულ ფარგლებში.

8.6 ჩვენ არ ვიღებთ პასუხისმგებლობას ან ვალდებულებას იმ შემთხვევაში, თუ ვერ ვახერხებთ თქვენთვის ფუნქციების მოწოდებას, ან თუ ფუნქციებით სარგებლობისას არასასურველი შედეგის წინაშე აღმოჩნდით, თუ ეს გამოწვეულია ჩვენს კონტროლს მიღმა არსებული ქმედებით ან მოვლენით, რაც სულ მცირე

მოიცავს, საჯარო ან კერძო სატელეკომუნიკაციო ქსელების ან ინტერნეტის გაუმართაობას ან მათი მოწოდების შეუძლებლობას.

9. შეწყვეტა ან დროებით შეჩერება

- 9.1 თქვენ შეგიძლიათ ნებისმიერ დროს შეწყვიტოთ ფუნქციების გამოყენება, თუმცა თქვენი ავტომობილის პარამეტრებიდან გამომდინარე, გარკვეული პროგრამული განახლებები შესაძლოა კვლავ გააქტიურებული იყოს. თქვენი ინტერნეტ-პაკეტისთვის მობილური ინტერნეტის კავშირის გასათიშად, გამოიყენეთ ავტომობილის „დაკავშირების“ პარამეტრები.
- 9.2 თუ ვერ მოახერხებთ წინამდებარე პირობების შესრულებას, ჩვენ უფლება გვაქვს დაუყოვნებლივ გავაუქმოთ ან შევაჩეროთ თქვენი ანგარიშ(ებ)ი, გამოწერა (გამოწერები) და/ან ფუნქციებზე წვდომა თქვენთვის წინასწარ შეტყობინების გარეშე.

10. სხვა მნიშვნელოვანი პირობები

- 10.1 ჩვენ შეიძლება პერიოდულად შევიტანოთ ცვლილებები ფუნქციებში და/ან წინამდებარე პირობებში შემდეგი მიზეზებით: ჩვენი ფუნქციების პროვაიდერის ცვლილება, მათი სერვისები თუ წესები და პირობები; რეგულაციების ან კანონმდებლობის ცვლილება; ფუნქციების გაუმჯობესება ან ცვლილება; და/ან ამ ფუნქციებთან დაკავშირებული კონფიდენციალურობის დაცვის და მონაცემების გამოყენების წესების ცვლილება. ჩვენ ყოველთვის ვცდებით იმის უზრუნველყოფას, რომ რაიმე ცვლილებამ არ ჩააყენოთ არსებითად წამგებიან სიტუაციაში. ზოგიერთი ცვლილების შემთხვევაში, თქვენ შესაძლოა ვერ შეძლოთ შესაბამისი ფუნქციების გამოყენება მანამ, სანამ არ დააყენებთ პროგრამულ განახლებას და/ან დაეთანხმებით ნებისმიერ ახალ წესებსა და პირობებს, რომლებიც შეიძლება მოქმედებდეს.
- 10.2 თქვენთან დასაკავშირებლად გამოვიყენებთ საკონტაქტო ინფორმაციას, რომელიც მიუთითებთ თქვენს ანგარიშზე, ხოლო თუ არ გაქვთ ანგარიში, იმ საკონტაქტო ინფორმაციას, რომელიც მიაწოდებთ ავტორიზებულ მოვაჭრეს, რომლისგანაც ავტომობილი შეიძინეთ.
- 10.3 ჩვენსა და ფუნქციის პროვაიდერებს შორის რაიმე ხელშეკრულების პირობებში, თქვენ არ იქნებით მესამე მხარის ბენეფიციარი.
- 10.4 ფუნქციებზე ინტელექტუალური საკუთრების ყველა უფლება გვეკუთვნის ჩვენ ან მათ ლიცენზიებს ვფლობთ ჩვენ ან ჩვენი ფუნქციის პროვაიდერები. ამ ფუნქციების გამოყენების უფლება გაქვთ არა შემენილი, არამედ ლიცენზიით გადმოცემული, შესაბამისად, თქვენ არ გაქვთ არანაირი უფლება მათთან დაკავშირებით, გარდა წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

- 10.5 თქვენ უფლება გაქვთ გადასცეთ წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული თქვენი უფლებები ან ვალდებულებები სხვა მხარეს მხოლოდ ჩვენგან წერილობითი თანხმობის მიღების შემთხვევაში. ჩვენ უფლება გვაქვს გადავცეთ წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული ჩვენი უფლებები ან ვალდებულებები სხვა მხარეს, მაგრამ ეს გავლენას არ მოახდენს წინამდებარე პირობებით გათვალისწინებულ თქვენს უფლებებზე.
- 10.6 წინამდებარე პირობები იქნება ძალაში თქვენ მიერ ფუნქციებით სარგებლობის პერიოდში.
- 10.7 წინამდებარე პირობების თითოეული დებულება მოქმედებს ცალ-ცალკე. თუ რომელიმე სასამართლო ან შესაბამისი ორგანო მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ რომელიმე მათგანი არის უკანონო ან არააღსრულებადი, დანარჩენი დებულებები სრულად დარჩება ძალაში.
- 10.8 თუ ჩვენ არ მოვითხოვთ თქვენ მიერ წინამდებარე პირობებით დადგენილი რომელიმე ვალდებულების შესრულებას ან თუ ჩვენ არ აღვასრულებთ ჩვენს უფლებებს, რაც გვაქვს თქვენს მიმართ, ან თუ ვაჭიანურებთ ამ პროცესს, ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ უარი განვაცხადებთ ჩვენივე უფლებებზე თქვენს მიმართ და ეს ასევე არ ნიშნავს იმას, რომ თქვენ აღარ უნდა შეასრულოთ აღნიშნული ვალდებულებები. თუ ჩვენ უარს ვიტყვით თქვენ მიერ წინამდებარე პირობების დარღვევასთან დაკავშირებით სარჩელის შეტანის უფლებაზე, ჩვენ ამას გავაკეთებთ მხოლოდ წერილობით და ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ავტომატურად უარს ვიტყვით სარჩელის შეტანის უფლებაზე თქვენ მიერ ამ პირობების ნებისმიერ დარღვევის შემთხვევაში.
- 10.9 თუ ხართ მომხმარებელი, გაითვალისწინეთ, რომ თქვენსა და ჩვენს შორის დადებული ეს ხელშეკრულება რეგულირდება ინგლისის კანონმდებლობით. ეს ნიშნავს, რომ ნებისმიერი დავა ან პრეტენზია, რომელიც წარმოიქმნება წინამდებარე პირობებიდან ან გამომდინარეობს მათგან, რეგულირდება ინგლისის კანონმდებლობით. თქვენ და ჩვენ ვთანხმდებით, რომ ინგლისისა და უელსის სასამართლოებს ექნებათ არაექსკლუზიური იურისდიქცია. კანონმდებლობის ზემოაღნიშნული არჩევანი ზიანს არ აყენებს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ „მომხმარებლის შესახებ კანონის“ დებულებებს.
- 10.10 თუ თქვენ ხართ ბიზნეს მომხმარებელი, წინამდებარე პირობები, მათი არსი და ფორმულირება (და ნებისმიერი არასახელშეკრულებო დავა ან პრეტენზია) რეგულირდება ინგლისის კანონმდებლობით. ორივე მხარე ვეთანხმებით ინგლისისა და უელსის სასამართლოების ექსკლუზიურ იურისდიქციას.